7360-ʒ-3-202012281256

N 7360-ʒ 28/12/2020

ხელშეკრულების ცვლილება #4
ხელშეკრულების ნომერი: EIB/MIMP/W/NCB/81-1-2019
ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ღორეშა-ბაზალეთის გზის რეაბილიტაცია
(შემდგომში „ხელშეკრულება")

წინამდებარე ხელშეკრულების ცვლილება #4 (შემდგომში „ცვლილება") გაფორმდა 2020 წლის 28 დეკემბერს

ერთის მხრივ **სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა** (შემდგომში „დამკვეთი") და

მეორეს მხრივ **„კავკასუს როუდ პროჯექტს"** (შემდგომში „კონტრაქტორი") შორის

სამუშაოების მიმდინარეობისას გამოვლენილი ფაქტიური გარემოებებიდან გამომდინარე, საჭირო გახდა კონტრაქტორის მიერ გარკვეული დამატებითი სამუშაოების განხორციელება. პროექტის მენეჯერის JV of ILF Consulting Engineers Austria GmbH (ILF) (Lead Member, Austria), S.C. Impex Romcatel Cercetare Proiectra S.A. (Partner, Romania), Scientific, Design – Technological Enterprise "INDUSTRIA" Ltd (Partner, Georgia), IUB Engineering AG (partner, Switzerland), IM Engineering Eurasia LLC (Sub-consultant, Georgia) and ILF Consulting Engineers Georgia LLC (Sub-consultant, Georgia)-ის მიერ 2020 წლის 21 დეკემბრის N0484-JV_GURAD-OC-1882 წერილით წარმოდგენილი კორექტირებული ცვლილებათა აქტი N4-ის თანახმად (თანდართულია), კორექტირებული და დამატებითი სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 269,759.23 ლარი (დღგ-ს გარეშე), საიდანაც 190,103.22 ლარი დაიფარება გაუთვალისწინებელი ხარჯებიდან. შესაბამისად, ცვლილებით ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება იზრდება 93,994.09 ლარით (დღგ-ს ჩათვლით) ((269,759.23-190,103.22)*1.18=93,994.09) და შეადგენს 8,483,614.52 ლარს (დღგ-ს ჩათვლით).

2020 წლის 18 დეკემბერს კონტრაქტორმა წერილით #471/20, დამატებითი სამუშაოების საფუძველზე, მოითხოვა მთლიანი სამუშაოების ვადის გახანგრძლივება 81 დღით, კერძოდ, 2021 წლის 30 აპრილამდე. პროექტის მენეჯერის რეკომენდაციითა და დამკვეთის თანხმობით, სამუშაოების ვადა გახანგრძლივდება მხოლოდ 70 დღით, ვინაიდან, გარკვეული სამუშაოების შესრულება კონტრაქტორს შეუძლია პარალელურ რეჟიმში. შედეგად, მთლიანი სამუშაოების დასრულების ვადად 2021 წლის 8 თებერვლის ნაცვლად, განისაზღვრა 2021 წლის 19 აპრილი.

შედეგად მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება 8,389,620.43 ლარი (დღგ-ს ჩათვლით) გაიზარდა 93,994.09 ლარით (დღგ-ს ჩათვლით) და შეადგენს 8,483,614.52 **(რვა მილიონ ოთხას ოთხმოცდასამი ათას ექვსას თოთხმეტი და 52/100)** ლარს (დღგ-ს ჩათვლით);
2. ხელშეკრულების კონკრეტული პირობების 1.1. (ზ) პარაგრაფი შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „მთლიანი სამუშაოების დასრულების დაგეგმილი თარიღია **2021 წლის 19 აპრილი";**
3. ხელშეკრულების კონკრეტული პირობების 50.1 პუნქტის შესაბამისად, კონტრაქტორმა წინამდებარე ხელშეკრულების ცვლილება #4-ის გაფორმების თარიღიდან 14 დღის განმავლობაში, უნდა წარმოადგინოს კონტრაქტის შესრულების საბანკო გარანტია, რომლის თანხა უნდა შეადგენდეს წინამდებარე ცვლილებით განსაზღვრული **ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 10%-ს** და ძალაში უნდა იყოს **2021 წლის 17 მაისის ჩათვლით;**
4. ხელშეკრულების ზოგადი პირობების 13.1 პუნქტის შესაბამისად, კონტრაქტორმა წინამდებარე ხელშეკრულების ცვლილების გაფორმების თარიღიდან 14 დღის განმავლობაში, უნდა წარმოადგინოს დაზღვევის პოლისი, რომელიც ძალაში უნდა იყოს **2022 წლის 19 აპრილის ჩათვლით;**
5. წინამდებარე ცვლილების პირველი და მეორე პუნქტები ძალაში შედის ცვლილების მესამე პუნქტში მოცემული პირობების შესაბამისად კონტრაქტორის მიერ კონტრაქტის შესრულების საბანკო გარანტიის წარმოდგენის თარიღიდან, ხოლო წინამდებარე ცვლილების დანარჩენი პირობები ძალაშია მისი ხელმოწერის თარიღიდან;
6. მხარეები თანხმდებიან, რომ: ა) კონტრაქტორს არ გააჩნია რაიმე სახის დამატებითი პრეტენზია ან/და მოთხოვნა წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებულ საკითხებზე; ბ) შეთანხმებაში მოცემული თანხა სრულად მოიცავს ცვლილებასთან დაკავშირებული სამუშაოების ანაზღაურებას, ასევე, კონტრაქტორის ნებისმიერ ხარჯსა თუ მატერიალურ მოთხოვნის ოდენობას; და გ) იგი თავისი ხელმოწერით იღებს ვალდებულებას არ წამოიწყოს რაიმე სახის დავა, არ შეიტანოს საჩივარი ან სარჩელი წინამდებარე

ცვლილებით წარმოშობილ რაიმე მოცდენასთან, ხარჯებთან ან/და ვადებთან დაკავშირებით, ან მისგან გამომდინარე;

7. ხელშეკრულების სხვა ყველა პირობა რჩება უცვლელი;
8. წინამდებარე ცვლილება წარმოადგენს 2019 წლის 25 სექტემბერს გაფორმებული # **EIB/MIMP/W/NCB/81-1-2019** ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

ხელმოწერილია დამკვეთის მხრიდან:

გიორგი შენგელია

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის
აღმასრულებელი დირექტორი
მის: დავით აღმაშენებლის გამზ. #150, თბილისი, საქართველო

ხელმოწერილია კონტრაქტორის მხრიდან:

ლევან ტრაპაიძე

შპს „კავკასუს როუდ პროჯექტის“ დირექტორი

მის: ლესელიძის ქ. #44, თბილისი, საქართველო

გიორგი შენგელია

აღმასრულებელი დირექტორი

დირექცია

Digitally signed by Municipal Development Fund of Georgia
Date: 2020.12.28 13:51:54 +04'00'

Caucasus Road Project LLC

Digitally signed by Caucasus Road Project LLC
Date: 2020.12.28 13:32:06 +04'00'